



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 1 22 0000372244



11/04/2022

„სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №666/იბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2022 წლის 8 აპრილის №367357 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №666/ი ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განხორციელებული კლასიფიკატორის განვითარების საფუძველს ასევე შესაძლოა წარმოადგენდეს დაინტერესებული პირის ინიციატივა ისეთი სწავლის სფეროს დამატებასთან დაკავშირებით, რომელიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტებით („განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCED-F-2013) ან/და „განათლებისა და ტრენინგის დეტალური სფეროების აღწერის“ (ISCED-FoET-2013)) და რომლის მიზანია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.“.

2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

